



TARTU ÜLIKOOOL



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ტარტუს უნივერსიტეტი  
University of Tartu

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი  
CENTER FOR CIVIL INTEGRATION AND INTER-ETHNIC RELATIONS

მესამე საერთაშორისო კონფერენცია  
Third international conference

15.02 - 17.02



მეორე ენის სწავლა/სწავლება  
მულტილინგვური განათლების კონტექსტში

SECOND LANGUAGE TEACHING/ACQUISITION  
IN THE CONTEXT OF MULTILINGUAL EDUCATION

მოხსენებათა თეზისები

Book of Abstracts



შოთა რუსთაველის ეროვნული  
საზოგადოებრივი მეცნიერების  
ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION

**კრებულზე მუშაობდნენ:**

გიული შაბაშვილი  
მანანა რუსიეშვილი  
კახა გაბუნია  
თეა თათეშვილი

**Editors**

Giuli Shabashvili  
Manana Rusieshvili  
Kakha Gabunia  
Tea Tateshvili

თბილისი  
2018

**მეორე ენის სწავლა/სწავლება  
მულტილინგვური განათლების კონტექსტში**

**SECOND LANGUAGE TEACHING/ACQUISITION  
IN THE CONTEXT OF MULTILINGUAL EDUCATION**

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დაარსების 100 წლისთავს

Dedicated to the  
Centenary  
of Ivane Javakhishili Tbilisi State University

**მოხსენებათა თეზისები  
BOOK of ABSTRACTS**

15.02.2018 – 17.02.2018  
თბილისი, საქართველო  
Tbilisi, Georgia

*მარიამ აკოფიანი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,  
საქართველო)*

## **ენისა და გენდერის საკითხები ინგლისურში; დაბრკოლებები გენდერული ტერმინების თარგმნის დროს**

ნაშრომში წარმოდგენილია ერთ-ერთი უახლესი სფერო ენაში გრამატიკული და ბუნებრივი სქესის კვლევის თვალსაზრისით, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად ითვლება ენისა და საზოგადოების შესწავლის ფართო სფეროს კვლევისა და თეორიული განვითარების მიმართულებაში. ნაშრომი მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღწერას იმ ფენომენის შესახებ, რომელიც ეხება გენდერულ რეპრეზენტაციას სქესის არმქონე ენებში, კონკრეტულად კი, კავკასიის ძირითად ენებში. ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემულია მასალა კავკასიის ძირითადი ენების გენეალოგიური, ტიპოლოგიური და სოციოლინგვისტური დახასიათების, ინგლისურ ენაში სქესის რეპრეზენტაციისა და ენისა და გენდერული კვლევების განვითარების შესახებ. კვლევა კონკრეტულად შეეხება მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის გრამატიკულ სქესს და გენდერულ კოდირებას კავკასიის ძირითად ენებში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს გენდერული რეპრეზენტაცია ინგლისურში კავკასიის ძირითად ტერიტორიულ ენებთან შედარებით. ნაშრომი მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ რა დაბრკოლებები იქმნება ინგლისური პრონომინალური ნაცვალსახელების თარგმანის დროს მეორე ენის შესწავლის პროცესში.

ენების კვლევაში წარმოდგენილია არსებული პრობლემა, რომელიც მდგომარეობს ინგლისური ენის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის (სქესის მიხედვით გარჩეული) ნაცვალსახელების სწავლებაში კავკასიის ძირითადად ენებზე მოლაპარაკეთათვის (ამ ენებში შესაბამისი ნაცვალსახელები სქესს არ განარჩევენ). კვლევა განიხილავს სხვადასხვა საკითხებს, როგორცაა მეორე ენის შემსწავლელი სწავლებისა და მცდარი წარმოდგენის პრობლემა. კვლევის ეს კონკრეტული ნაწილი ღირებული იქნება სამიზნე ენებზე გენდერული ენდოდის ფარგლებში ერთ-ერთი პირველი ერთდროულად ჩატარებული სამუშაოების გამო, რომელიც შეიმუშავებს და უზრუნველყოფს ლინგვისტური კვლევის ფართო

კონტექსტს. ენობრივი და გენდერული იდენტობის სოციოლინგვისტური გამოკვლევების განსხვავებული შეხედულებები სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ გენდერულ ენაზე მომხსენებელთა შორის ენისა და გენდერის შემდგომი გამოკვლევებისთვის ეს იქნება ძალიან ძლიერი ინსტრუმენტი. ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ენებში მესამე პირის ნაცვალსახელები სქესს არ განარჩევენ და ისინი შეიძლება აღნიშნავდნენ მამრს, მდედრს ან გაურკვეველი სქესის მქონე სუბიექტს, მაშინ როცა ინგლისურში მესამე პირის ნაცვალსახელები (*he, she*) გაირჩევა რეფერენტის სქესის მიხედვით. დასკვნის სახით წარმოდგენილია საკითხის განხილვის სხვადასხვა გზა და პრობლემის მოგვარების საშუალებები ინგლისურის ენის სწავლების თვალსაზრისით. კვლევა გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევისა და დისკურსის ანალიზის საფუძველზე. კვლევის პრობლემის პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა შესაძლოა აღსანიშნავი იყოს იმ ლიტერატურის არქონის გამო, რომელიც შეეხება კავკასიის ძირითად ენებზე მოლაპარაკეთა პერსპექტივიდან ინგლისურ ენაში არსებული ენობრივი და გენდერული რეპრეზენტაციების აღქმის შესწავლას.

*მაია ალავიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **რატომ მიმაჩნია, რომ სწავლება ხელოვნებაა?**

სწავლება/სწავლის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, დაეხმარო შემსწავლელს, გახდეს თავდაჯერებული, დაინახოს საკუთარი პროგრესი და მიაღწიოს წარმატებას. ეფექტური სწავლება უნდა იყოს პროცესზე, და არა შედეგზე, ორიენტირებული. კარგ მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ალბერტ აინშტაინის სიტყვები: „მე არასოდეს ვასწავლი ჩემს მოსწავლეებს, მე მხოლოდ ვცდილობ, ისეთი პირობები შევქმნა, სადაც ისინი სწავლას შეძლებენ“. ასეთი მიდგომით მასწავლებელი ხდება მოტივაციის მიმცემი წყარო, რომელიც შემსწავლელში აღვივებს სწავლის სურვილს და წარმატების იმედს. ყოველივე ზემოთქმული უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისგან. კარგად დაგეგმილ გაკვეთილზე ყველა სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება, გადმოსცეს აზრი ინგლისურად, დამოუკიდებლად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, რაც მათთვის კარგი პრაქტიკაა და რაც საშუალებას მისცემს მათ, გახდნენ მოტივირებული, თავდაჯერებული

შემსწავლელები და იოლად მიაღწიონ წარმატებას. გაგაცნობთ რამდენიმე აქტივობას, რომლებიც გაკვეთილს სასიამოვნო პროცესად აქცევს და დაეხმარება სტუდენტებს, მიიღონ აუდიტორიის წინაშე გამოსვლის გამოცდილება.

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი აქტივობაა PowerPoint პრეზენტაცია. ეს დავალება სტუდენტისგან მოითხოვს ცოდნის, გაგებისა და გადმოცემის უნარის დემონსტრირებას. თემის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ვთხოვ, მოამზადონ PowerPoint პრეზენტაცია განვლილ მასალასთან დაკავშირებულ თემაზე. თუ იმასაც ეტყვიან სტუდენტებს, რომ შეცდომებზე არ იღელვონ - ეს აამაღლებს მათ თავდაჯერებულობას და დაეხმარება წარმატების მიღწევაში.

კიდევ ერთი მასტიმულირებელი აქტივობაა კითხვების დასმა / ინტერვიუ. კითხვები შეიძლება იყოს ნებისმიერ საკითხზე იმ პირობით, რომ მოპასუხეს არ შეეძლოს მხოლოდ კი/არა პასუხი. მან უნდა ისაუბროს ვრცლად, აღწეროს სიტუაცია ან თავისი გრძნობები.

საწყის ეტაპზე მასწავლებელმა შეიძლება გაკვეთილზე მიიტანოს მზა სიტუაციები, მაგრამ მოგვიანებით სტუდენტები შეძლებენ თავადაც მოიფიქრონ სასაუბრო სიტუაციები.

მინდა რეკომენდაციის სახით ვთქვა, რომ თითქმის ყველა სავარჯიშო შეიძლება გადავაქციოთ კომუნიკაციურ, მოტივაციის ასამაღლებელ აქტივობად. იმისათვის, რომ სწავლება უფრო დიდი გამოწვევა იყოს პედაგოგისთვის, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს სპეციალური ინგრედიენტებით გაზავებული მზა რეცეპტი - როგორ გახდე კარგი მასწავლებელი და როგორ დაეხმარო შენს სტუდენტებს, გახდნენ წარმატებული შემსწავლელები... ამიტომაც მიმაჩნია, რომ **სწავლება ხელოვნებაა!**

*ვატმან ანთაძე-მალაშხია (თსუ, საქართველო)*

**ნაცნობ ენათა გავლენისათვის ახალი / დამატებითი  
ენის სწავლების პროცესზე  
(ქართული და ინგლისური, როგორც სპარსულის შესწავლის წყარო)**

ახალი/დამატებითი ენის სწავლების პროცესში საკმაოდ მკაფიოდ ვლინდება ასაკობრივი ფაქტორისა და ენობრივი გათვით-ცნობიერებულობის ურთიერთმიმართება. შესაბამისად, ზრდასრულ

პირთათვის ახალი/დამატებითი ენის სწავლებისას ნაცნობი/შესწავლილი ენები შეიძლება წყაროდ იქნას გამოყენებული.

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი / დამატებითი ენის სწავლების საწყის ეტაპზე, როცა ახალი/დამატებითი ენისა და ნაცნობ ენათა ტიპოლოგიური შეპირისპირება აუმჯობესებს და აჩქარებს ახალი/დამატებითი ენის შეთვისებას ზრდასრულთა მიერ.

ქართულ უნივერსიტეტებში სპარსულის ქართულთან და ინგლისურთან მიმართება სწავლების ნულოვანი საფეხურიდანვეა გათვალისწინებული. ამგვარმა მიდგომამ დადებითი შედეგი გამოიღო და მყარი საფუძველი შექმნა სწავლების ერთენოვან მეთოდზე გადასასვლელად.

ნაცნობი ენებიდან ახალ/დამატებით ენაში განხორციელებული ტრანსფერი, უპირველეს ყოვლისა, ნაცნობ და ახალ/დამატებით ენათა შორის შესაბამის სფეროებში არსებულ მსგავსებებს ეფუძნება. სპარსულისა და ქართულის მიმართების თვალსაზრისით, ეს სფეროები ფონეტიკასა და ლექსიკას მოიცავს, რაც განპირობებულია სპარსულ და ქართულ ბგერათა მსგავსებითა და სპარსულიდან ქართულში შემოსულ ნასესხობათა სიმრავლით. სპარსულისა და ინგლისურის შემთხვევაში მსგავსების სფერო მორფოსინტაქსია, რისი მიზეზიც ორივე ენის ანალიზური წყობაა.

მსგავს სტრუქტურათა შერჩევის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწავლების საწყის ეტაპზე იძენს. რაც უფრო დიდია მსგავსება, მით უფრო ადვილია ახალი/დამატებითი ენის შეთვისება. აქედან გამომდინარე, გონიერულია მკაფიო, გაურთულებელ შესატყვისობებზე ყურადღების მიმართვა. მსგავსებებზე დაფუძნებული მიდგომა კიდევ უფრო ეფექტურია შესასწავლ და ყველა სხვა ნაცნობ ენათა შორის არსებულ მსგავს სტრუქტურებზე ყურადღების მიმართვისას. სპარსულის, ქართულისა და ინგლისურის შემთხვევაში ამგვარ იდენტურ სტრუქტურებად პერფექტული ფორმები გვევლინება.

ჩვენი დასკვნები პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება. ჩვენ მიერ შემუშავებული და სამგზის წარმატებით აპრობირებული სპარსული ენის საწყისი კურსის სწავლებისას გამოვლინდა, რომ ნაცნობ ენათა რიგითობა (აქ: I ენა - ქართული, II ენა - ინგლისური) გავლენას არ ახდენს მესამე/ახალი ენის(აქ: სპარსულის) შეთვისებაზე. შემსწავლელის მიერ ახალ/დამატებით და ნაცნობ ენათა შორის არსებულ მსგავსებათა აღქმა განაპირობებს პოზიტიურ ტრანსფერს პირველი/მშობლიური, მეორე თუ სხვა უცხო ენიდან იმ შემთხვევაშიც კი, როცა უცხო ენა სრულყოფილად

არაა შეთვისებული. ეს გარემოება მიუთითებს ფსიქოტიპოლოგიური ფაქტორის გადამწყვეტ როლზე ზრდასრულთა მიერ ახალი/დამატებითი ენის შეთვისებისას.

*ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი (თსუ, საქართველო)*

## **მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები ქართულში და მათი სწავლება არაქართველთათვის.**

ჩვენს ქვეყანაში ქართული ენის სწავლების საკითხები უაღრესად აქტუალურია, რადგან საქართველო მრავალენოვანი, მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები დასახლებული არიან კომპაქტურად და ქმნიან ენობრივ უმცირესობებს. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესწავლა, რათა სრულად იყვნენ ინტეგრირებული საზოგადოებაში და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩაითვალოს.

ჩვენი მიზანია მარტივად წარმოვუდგინოთ და ავუხსნათ ის რთული საკითხები და გრამატიკული ფორმები, რომლებიც არსებობს ენაში, რათა ადვილად აღსაქმელი, დასამახსოვრებელი და გასაგები იყოს მათთვის.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი საკითხების ანალიზსა და დამუშავებას დიდი ყურადღება ექცევა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპებისა და მათი სწავლების საკითხების სისტემურად და მარტივად წარმოდგენას.

როგორც ცნობილია, ქართულში გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის 2 ტიპი: შეთანხმებული ანუ ატრიბუტული და მართული ანუ სუბსტანციური. ამასთანავე, მნიშვნელობა ენიჭება, რა პოზიცია უკავია მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ: უსწრებს თუ მოსდევს მას. ჩვენ, უპირველესად, განვიხილავთ წინა პოზიციაში მდგომი მსაზღვრელის შემთხვევებს, რადგან ის არის აქტუალური ახალ ქართულში.

ტრადიციული კლასიფიკაცია ძირითადად ემყარება ფორმოზრევ ანალიზს. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია სინტაგმების კლასიფიკაცია წარმოვადგინოთ მორფო-სინტაქსური ასპექტების გათვალისწინებით. ქართულში, ზემოაღნიშნული წყვილების გარდა, გამოიყოფა სხვა სინტაგმებიც, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სემანტიკურად და გარკვეულ ერთეულებს ქმნიან. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ



სინტაგმაში, რომელშიც გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული, კავშირი მათ შორის საზღვრულით არის განპირობებული, მსაზღვრელი კი გარკვეული ნიშნით ახასიათებს საზღვრულს. მათ შორის გარკვეული სემანტიკური კავშირია. აღნიშნული სინტაგმებიდან 2 ჯგუფს გამოვყოფთ:

1. მსაზღვრელი არის ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი. მათ შორის, ჩვეულებრივ, შეთანხმებაა. წარმოდგენილია სხვადასხვა შემთხვევა: ლამაზი ქალი, ორი ქალი, ყველა ქალი, ექიმი ქალი.

2. სუბსტანციური მსაზღვრელი, როდესაც მსაზღვრელი არსებითი სახელია. იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნათესაობით, მოქმედებით ან ვითარებით ბრუნვებში და, ამასთანავე, თითოეულ მათგანს თავისი გარკვეული სემანტიკა ჰქონდეს.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს არა ფლექსიასთან, არამედ დერივაციასთან, შესაბამისად, მსაზღვრელი წარმოდგენილია ერთი გარკვეული ფორმით ყველა ბრუნვაში და იბრუნვის მხოლოდ საზღვრული.

მაგალითად: კუთვნილების, დანიშნულების, მასალის გამოსახატავად მსაზღვრელი დგას ნათესაობით ბრუნვაში; ამხანაგის სახლი, მეგობრის წიგნი, ყავის ჭიქა, ქორწინების სახლი, მაწვნის ქილა, ხის სახლი, ოქროს ბეჭედი...ამავე დროს გამოიყენება მსაზღვრელი სახელზმნებთან; ყავის დაღევა, საქმის კეთება, დავალების დაწერა, საჭმლის მომზადება, სურათის დახატვა....

მოქმედებითი ბრუნვის ფორმით მსაზღვრელი გვხვდება ძირითადად იარალის, ინსტრუმენტის გამოხატვის დროს; დანით დაჭრა, ფეხით სიარული, კოვზით ჭამა...

ვითარებითი ბრუნვის ფორმით მსაზღვრელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც, პროფესიის, მიზნის გამოხატვის შემთხვევაში: კარგად მგზავრობა, ჯანმრთელად ყოფნა, ბედნიერად დაბერება, ექიმად მუშაობა, სანადიროდ წასვლა...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ენაში არსებული სინტაგმების შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ მათი სემანტიკა, ენის მორფო-სინტაქსური ასპექტები, რომ თითოეული შემთხვევა იქნეს უფრო ადვილად გასაგები და მარტივად დასამახსოვრებელი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

*მერაბ ბაბუხაძია (თსუ, საქართველო)*

## **არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისის როლი უცხო ენის შესწავლაში**

ბგერების წარმოთქმის დროს საწარმოთქმო ორგანოს თითოეული მოძრაობა ან მდგომარეობა არის არტიკულაცია. თითოეულ სამეტყველო ბგერას / მის ყოველ სახესხვაობას საკუთარი არტიკულაცია აქვს. არტიკულაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეორე ენის შესწავლის პროცესში.

არტიკულაციის ამოსავლად ითვლება სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა. ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც ორგანოები იმყოფება საწარმოთქმოდ ამოქმედებამდე.

ჩვენი ძირითადი თეზაა - რომელიმე ორ ენაში (მაგ., ქართულსა და აზერბაიჯანულში) ან ორ დიალექტში (მაგ., კახურსა და რაჭულში) იმთავითვე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია ერთმანეთისაგან სამეტყველო ორგანოების საწყისი - ინდიფერენტული მდგომარეობა.

ყოველ ენას ახასიათებს მასში ბგერათა თავისებური წარმოთქმა, რომლითაც ეს ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან. მაგალითად, ქართული ენის პ' განსხვავდება აზერბაიჯანული ენის p'-საგან.

ზოგიერთ ენაში გარკვეულ ბგერათა წარმოსათქმელად ჩართულია საწარმოთქმო აპარატის ის ორგანოები, რომლებიც სხვა ენაში, შესაძლოა, საერთოს არც გამოიყენებოდეს. მაგალითად, ქართულის ყ ბგერის წარმოსათქმელად ენის ძირი სასის კედელთან ურთიერთქმედებს; უცხოენოვან სტუდენტებს, რასაკვირველია, უჭირთ ამ ბგერის წარმოთქმა, ვინაიდან მა მშობლიურ ენებში სასისმიერი ბგერები საერთოდ არ არსებობს (ანუ, საწარმოთქმო აპარატი საერთოდ არ იყენებს სასას მეტყველების პროცესში).

ენათა ამ ფონეტიკურ თავისებურებას, სახელდობრ: კონკრეტული ენის საწარმოთქმო ჩვევებს, შემუშავებულს ამ ენის განვითარების მანძილზე და მასში ტრადიციით დამკვიდრებულს, ეწოდება ამ ენის საარტიკულაციო ბაზისი ანუ **აქტივიზებული ინდიფერენტული მდგომარეობა**, მამასადამე, საარტიკულაციო ბაზისი სოციალური მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური. როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა, იგი დაკავშირებულია სამეტყველო ორგანოთა აბსოლუტურ ინდიფერენტულ მდგომარეობასთან.

საარტიკულაციო ბაზისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენები და, ჩვეულებრივ, ერთი ენის დიალექტები ერთმანეთისაგან.

შესასწავლი ენის საარტიკულაციო ბაზისის დაუფლება მნიშვნელოვანია ამ ენის სრუკუფასოვნად დაუფლებისთვის, რაც მიიღწევა შეზღუდული რაოდენობის ტექსტების (დაახლოებით ოცდაათი ტექსტის) ინტენსიური გამეორებით, რომლებიც მოიცავენ მოცემული ენის ყველა საარტიკულაციო თავისებურებას.

საარტიკულაციო ბაზისის დაუფლება განაპირობებს საწარმოთქმო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობის ერთგვარ „შემზადებას“ მოცემული ენისათვის: სამიზნე ჯგუფის (ქართული ენის შემსწავლელი) სტუდენტების საარტიკულაციო ბაზისი „გადაეწყობა“, ემზადება ქართულისთვის სპეციფიკური ბგერების წარმოსათქმელად. ეს უკურეზონატორული დამოკიდებულება აისახება მოცემული ტექსტების შერჩევისას და წარმოავადგენთ, როგორც მეთოდოლოგიურ ინოვაციას.

ჩვენი მიზანია მეორე ენის შესწავლაში ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლება ახალი მეთოდოლოგიით, რათა დროის უმცირეს მონაკვეთში შესაძლებელი გახდეს ენის დაუფლება. ვიყენებთ ე.წ. შერეულ მეთოდს - სუგესტოლოგიას (მიშელ ტომასის, ბერლიტცისა და სხვ. ნააზრევზე დატრდნობით).

*ზურაბ ბაღაშვილი (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი,  
საქართველო)*

### **პასიური ლექსიკიდან აქტიურ ლექსიკამდე საკომუნიკაციო მეთოდით სწავლების კონტექსტში**

ნებისმიერი მეორე ან უცხო ენის შესწავლისას, შესასწავლი ენის ლექსიკის დაუფლებას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ პასიური ლექსიკური მარაგი უყალიბდება ენის შემსწავლელს, ხოლო შემდეგ, საკომუნიკაციო სამეტყველო ფუნქციების დახმარებით, პასიური ლექსიკური მარაგი ფორმირდება აქტიურ ლექსიკად. იმისათვის, რომ აქტიური ლექსიკის ჩამოყალიბება იყოს ეფექტური, ხარისხიანი, მყარი და რაც შეიძლება დროში დაჩქარებული, საკომუნიკაციო სწავლების მეთოდოლოგია ეყრდნობა (ძირითად აქცენტს აკეთებს) სამეტყველო უნარების, კერძოდ, პროდუცირების უნარების განვითარებაზე. ამ პრობლემასთან უშუალო კავშირშია მეორე (უცხო) ენის ათვისების

ინტენსიური კურსის საკითხი. აზრთა სხვადასხვაობას, მეთოდური მიდგომების გარდა, იწვევს ახალი (უცხო) სიტყვების „დღიური ნორმის“ განსაზღვრის საკითხიც:

1. ის, თუ რამდენი სიტყვის დასწავლა (დაზეპირება) არის ყველაზე გამართლებული გაკვეთილიდან გაკვეთილამდე 1 ან 2-დღიანი შუალედის შემთხვევაში.

2. არსებობს თუ არა მეთოდოლოგიური აუცილებლობა, მკაცრად განისაზღვროს დასასწავლი სიტყვების რაოდენობა კონტექსტისა და ფრაზეოლოგიზმების გათვალისწინებით.

ენის ფლობის დონის (A1 - C2) მიხედვით უნდა განვსაზღვროთ სოციალურად ყველაზე ხშირად გამოყენებადი სმეტყველო გარემო (მაგ. ბანკი, იუსტიციის სახლი...), შესაბამისი ლექსიკური ერთეულების რაოდენობა და ეს ციფრი უნდა გავყოთ თვიურ, სემესტრულ ან წლიურ მაჩვენებელზე. აქვე უნდა გავითვალისწინოთ მათი სწავლისთვის განსაზღვრული დროის ბიუჯეტი და კურიკულუმის მიზნები: რა დროა გამოყოფილი ენის შემსწავლელთა მიზნების განსახორციელებლად (ა. ენის სწავლების დაჩქარებული კურსი; ბ „ჩვეულებრივი“ სასწავლო სემესტრით განსაზღვრული კურსი).

პირველ შემთხვევაში დასაზეპირებელი სიტყვების რაოდენობა შეიძლება 20-25 სიტყვით განვსაზღვროთ, ერთდღიანი შუალედითა და 16 კვირით (ანუ 4 თვიანი სასწავლო კურსით). მეორე შემთხვევაში - 10-12 სიტყვა გაკვეთილიდან გაკვეთილამდე და ეს 8-თვიან სასწავლო კურსს მოიცავს. იმისათვის, რომ სიტყვათა აღნიშნული რაოდენობა (პასიური მარაგი) მაქსიმალურად სწრაფად გარდაიქმნას აქტიურ მარაგად, საგაკვეთილო თემატიკა და ახალი სიტყვების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემსწავლელთა დონეების მიხედვით და უპირატესობა მიენიჭოს ზეპირმეტყველებას და კომუნიკაციურ მიდგომას, აქცენტი უნდა გაკეთდეს დიალოგებზე, სიმულაციურ სიტუაციებზე... უპირანია ქალანის მეთოდის გამოყენება, რომელიც ფოკუსირებულია, მსმენელს შეასწავლოს გრამატიკა და ლექსიკური მარაგი ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციებით განსაზღვრულ B2 დონემდე.

მოხსენების მიზანია, განვიხილოთ აქტიური ლექსიკის ჩამოყალიბების პროცესი კომუნიკაციური მეთოდის ასპექტში და შევიშუაოთ რეკომენდაციები მისი მეთოდური სრულყოფისთვის, კერძოდ:

ა) დაზუსტდეს ქართული ენის მაღალსიხშირული სიტყვების რაოდენობა დონეების მიხედვით და შესასწავლი სიტყვების რაოდენობა

და შინაარსი კონკრეტულად გაიწეროს გაკვეთილიდან გაკვეთილამდე (სემინარამდე);

ბ) ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების შედგენისას, გათვალისწინონ „ლექსიკური პრინციპი“ და, შესაბამისად, განისაზღვროს საუნივერსიტეტო (ან სასკოლო) კურიკულუმში საათების რაოდენობა.

გ) მეთოდოლოგიურად დამუშავდეს ქალანის მეთოდიკის ქართული ენის სწავლებასთან თანხვედრისა და გადაკვეთის სამეცნიერო პრინციპები, ჩატარდეს ექსპერიმენტი და, დადებითი შედეგების შემთხვევაში, კომუნიკაციური მეთოდიკით სწავლებისას მას მიენიჭოს უპირატესობა.

*ნაირა ბეპიევი (თსუ, საქართველო)*

### **მეორე ენის სწავლა/სწავლების გრამატიკული სირთულეები**

ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო ოსური - ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრია.

ცნობილია მეორე ენის შესწავლის სხვადასხვა მეთოდი და მიდგომა: ბოლო დროის გამოკვლევებში ნაკლები ყურადღება ექცევა ენათა გრამატიკის სისტემურ სწავლებას. რასაკვირველია, ეს მიდგომა მისაღებია, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე ენის სწავლა/სწავლების დროს აუცილებელია გრამატიკული თავისებურებების - ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური კონსტრუქციების გათვალისწინება: მხოლოდ მათი დახმარებითაა შესაძლებელი ეფექტური, ხარისხიანი შედეგების მიღწევა. სწავლა/სწავლების დროს აუცილებელია ამ საკითხებთან დაკავშირებით თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება; ამავე დროს, ლექსიკონების, მეთოდური სახელმძღვანელოების, აუდიოვიზუალური საშუალებების ჩართვა საგაკვეთილო და/ან სალექციო პროცესში. მხოლოდ მათი დახმარებითაა შესაძლებელი ეფექტური შედეგების მიღწევა.

ოსური ენის ფონეტიკური შედგენილობა, ზოგიერთი მორფოლოგიური კონსტრუქცია თუ სინტაქსური პარადიგმა განსხვავებულია ქართული ენისაგან. ამდენად, მათთვის, ვისთვისაც ოსური ენა მშობლიურია და ქართული მეორე ენაა, გარკვეული სიძნელეები წარმოიქმნება ამ ენის სწავლა/სწავლების დროს. ამ

სიძნელეთა დაძლევა გრამატიკული წესების გაცნობის გარეშე შეუძლებელია. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ენათა გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინება, რის შესახებაც ვრცლად ვიმსჯელებთ მოხსენებაში. ამავე დროს, მოხსენებაში წარმოვადგენთ სარეკომენდაციო წინადადებებს ამ პრობლემის დასაძლევად.

*ზურაბ ბოლქვაძე (თსუ, საქართველო)*

## **ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები და სწავლების სტრატეგიები გერმანული ენის სწავლების პროცესში**

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მეთოდების მიებაში ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად სასურველია სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს აუდიოლინგვური მეთოდის გამოყენება წარმოადგენს, რომელიც საკუთარ აქტივობასა და სწავლების კრეატიულობას ითხოვს. ამ მეთოდის აქტიურად გამოყენება მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ავთენტურ სამყაროს ეზიარონ, რაც შემდგომში მათ ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებაშიც დაეხმარებათ. მასწავლებლის როლი ასეთი ტიპის გაკვეთილის ჩატარების დროს არის შემდეგი: შუამავალი, დამხმარე და კონსულტანტი. ასეთი გაკვეთილი ახლად გამოგონილი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ახალ კონცეფციებსა და მოდელებს, რომლებიც გაამართლებს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების იმედებსა და მოლოდინებს.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელია აუდიოლინგვური მეთოდების გამოყენება. ეს მეთოდი გულისხმობს შემდეგ სტრატეგიებს:

- მოსმენის მოსაზადებელი ეტაპი
- მოსმენა
- მოსმენის შემდგომი აქტივობები

მოსმენის კომპონენტის განვითარება უზრუნველყოფს შემდგომში ავთენტურ გარემოში ადეკვატურ ენობრივ ქმედებას. გაკვეთილი უნდა აძლევდეს მოსწავლეებს ცოდნას და უნდა გადიოდეს კონკრეტულ შედეგზე. შედეგების შესაძლო ფორმულირების მაგალითები:

- მოსწავლეები შეძლებენ მოსმენილი ტექსტის გლობალურ გაგებას;

- მოსწავლეები შეძლებენ მოსმენილი ტექსტიდან დეტალური ინფორმაციის გაგებას;
- მოსწავლეები შეძლებენ ჩანაწერების გაკეთებას მოსმენის დავალების შესრულებისას და სხვა.

ამგვარი შედეგები შეესაბამება იმ უნარებსა და კომპეტენციებს, რასაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გაკვეთილის ან თემის დასასრულს მასწავლებელმა უნდა შეძლოს შეაფასოს, რამდენად გააუმჯობესეს მოსწავლეებმა სამიზნე უნარ-ჩვევები, რამდენად არის მიღწეული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი შედეგები.

*ელისაბედ ბჟალავა (თსუ, საქართველო)*

### **თურქულის, როგორც უცხო ენის, სწავლების სირთულები**

უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელისგან, ისე მასწავლებლისაგან. უცხოური ენის შესწავლაში მოტივაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბოლო წლებში თურქეთი საქართველოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორად გვევლინება როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. დინამიკურად ვითარდება თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროშიც, რაც ზრდის თურქულის, როგორც უცხო ენი შესწავლის მოტივაციის, ისე მისი შესწავლით დაინტერესებულთა რიცხვს.

ენათმეცნიერები თურქულ ენას ალთაურ ენათა, ხოლო ქართულს - იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში აქცევენ. რაც იმას ნიშნავს, რომ თურქული ენის ქართველ შემსწავლელს საქმე აქვს სრულიად განსხვავებულ ლექსიკურ, ფონოლოგიურ, გრამატიკულ და ლინგვისტურ ასპექტებთან.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია თურქული ენის იმ ფონეტიკურ და მორფო-სინტაქსურ სირთულებსა და სპეციფიკაზე, რასაც ქართველი ენის შემსწავლელი აწყდება თურქული ენის შესწავლისას. მაგალითისათვის წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

1. პირველივე სირთულე, რასაც ანბანის შესწავლისთანავე აწყდება ენის შემსწავლელი, არტიკულაციური ხასიათისაა. მაგ.: ქართული

ენისთვის უცხო **ი, ო, ი** ხმოვნების არასწორი წარმოთქმა ართულებს ანდა, საერთოდაც, შეუძლებელს ხდის კომუნიკაციას.

მაგ: **olmak**- ყოფნას × **ölmek**- სიკვდილს; **kuzmak** -ლებინებას × **küsmek**- გაბუტვას; **küvet**-ძალას × **küvet**-ხელსაბანს ნიშნავს.

2. თურქული აგლუტინაციურ-ფლექსიური ტიპის ენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გრამატიკული მნიშვნელობა ფუძეზე სხვადასხვა აფიქსის დართვის საშუალებით იწარმოება. თურქულ ენაში “კუთვნილებითი სუფიქსები“ კუთვნილებითი ნაცვალსახელების პარალელურად, ფაკულტატიურად, გამოიყენება. აღნიშნული ხერხი სირთულეს უქმნის ქართველ ენის შემსწავლელს, რომელიც მიჩვეულია მიკუთვნებულობის გამოხატვას მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენებით.

მაგ.: (Benim) **çantam**

(ჩემი) ჩანთა-**კუთ. სუფ. -1 პირი**

ჩვენს ხელთ არსებული მასალისა და პირადი დაკვირვების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ

1. აუცილებელია, ქართველმა შემსწავლელმა თურქული ენის სწავლა დაიწყო ფონეტიკიდან კერძოდ, ქართული ანბანისათვის უცხო ხმოვნებისა და თანხმოვნების სწორად წარმოთქმით, არტიკულაციის ხერხების დაუფლებით. იგივე პრინციპი უნდა იქნას გათვალისწინებული თურქული ენის გრამატიკის თუ თვითმასწავლებლის ტიპის სახელმძღვანელოებში. რადგანაც სახელმძღვანელო დიდაქტიკური სამკუთხედის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.
2. თურქული ენის გრამატიკის სწავლებისას, სხვადასხვა ტიპის სირთულეებისა და თავისებურებების ეფექტური დამლევსათვის, მნიშვნელოვანია გრამატიკის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ხერხით ახსნა, სადაც წამყვანი როლი გრამატიკულ სავარჯიშოებზე მოდის. თურქული ენის ქართველი შესწავლელისთვის რომ უფრო მარტივი და ადვილად აღქმადი გახდეს თურქულის ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია, აუცილებელია, სავარჯიშოები აგებული იქნეს სოციალური მეთოდის გამოყენებით.



*ნანა გაფრინდაშვილი (თსუ, საქართველო)*

## **მხატვრული თარგმანი ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის კონტექსტში**

სახელმწიფო ენის წიაღში ეროვნული ლიტერატურის გვერდით ვითარდება მთარგმნელობითი საქმიანობა და იქმნება ნათარგმნი ლიტერატურის კორპუსი. მის განვითარებაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოს როგორც საგარეო, ასევე საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა. ეს გავლენა განსაკუთრებით ინტენსიურია ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმების ქვეყნებში, სადაც ხელოვნება და ლიტერატურა მკაცრად იდეოლოგიზებულია.

ნაშრომში თარგმანთმცოდნეობითი პრობლემატიკა განხილულია საბჭოთა ეპოქის კულტურის ფართო კონტექსტში. ნაჩვენებია, როგორ იდეოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ საბჭოთა კავშირის მხატვრული თარგმანის სკოლის წარმომადგენლები. წარმოჩენილია, ერთი მხრივ, როგორ ხდებოდა მასალის შერჩევა სათარგმნელად იდეოლოგიური კეთილსაიმედოობის კრიტერიუმით და როგორ აზარალებდა და აბრკოლებდა ეს გარემოება სალიტერატურო პროცესის განვითარებას. მეორე მხრივ კი, როგორ ხდებოდა ნათარგმნი ტექსტის „სოცრეალიზმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“, ანუ უცხოეროვნული მწერლის მხატვრული ტექსტის იდეოლოგიზება. მისთვის იმ იდეებისა და შეხედულებების იძულებით თავს მოხვევა, რომლებსაც ქადაგებდა და რომლის ტირაჟირებასაც ახდენდა საბჭოთა სახელმწიფო და იდეოლოგია.

ასე რომ, სოცრეალისტურ კანონთან შესაბამისობას საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების პოლიტიკის კანონმდებლები მარტო ორიგინალურ მწერლობას კი არ სთხოვდნენ, არამედ ნათარგმნი ლიტერატურასაც.

*მარინა გვარამაძე (ახალციხის დამოუკიდებელი სკოლა „მზექა“, საქართველო)*

## **საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება უცხო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში**

ენის გამოყენების სფერო მულტიკულტურული გარემოს შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კომპონენტია. მულტიკულტურული საკომუნიკაციო კომპეტენცია პედაგოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საკომუნიკაციო კომპეტენციების შემენის პროცესში.

ორიენტირებული სწავლება გულისხმობს იმას, რომ უცხოური ენის ფლობა მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის ცოდნაში ან გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენებაში არ გამოიხატება. რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია შემდეგი საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება: მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა. ამასთანავე, უცხოური ენის

სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსწავლე გაეცნოს მოცემული ენისა და ქვეყნის სოციალურ და კულტურულ რეალიებს და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს.

მნიშვნელოვანია, რომ უცხო ენის შესწავლისას კულტურული და სოციოკულტურული კონტექსტების გაცნობა უცხოური ენის გაკვეთილზე ენის სწავლებასთან ერთად მოხდეს. მეორე ენის შემსწავლელებს ხშირად მშობლიური კულტურისათვის მისაღები და გასაგები ქცევისა თუ ურთიერთობის წესები უნივერსალურად მიაჩნიათ, ხოლო განსხვავებული ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელი რეალიები მიუღებლად და ხშირ შემთხვევაში სასაცილოდაც კი ეჩვენებათ. მაშასადამე, მოსწავლეთა მიერ უცხოური კულტურის ინტერპრეტაცია და შეფასება მშობლიურთან მიმართებით ხდება. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი უცხოური ენების პედაგოგის როლი, რომელიც მოსწავლეს არა მარტო მოცემული ენის მიმართ უქმნის დადებით დამოკიდებულებას, არამედ განსხვავებული კულტურის მიმართაც უღვივებს ტოლერანტულ დამოკიდებულებას. უცხოური ენების სტანდარტში ადგილი დაიმკვიდრა ისეთმა მიმართულებამ, როგორცაა

„კულტურათა დიალოგი“. ეროვნული სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უცხოური ენის, როგორც მეორე ენის საკომუნიკაციო უნარების და უფლებასთან ერთად უცხოური ენის გაკვეთილი განსხვავებული ცხოვრების წესის, ღირებულებების, მენტალობის ადამიანების პატივისცემისა და უცხოური კულტურული კონტექსტებისადმი დადებითი დამოკიდებულების გაღვივებას უნდა ემსახურებოდეს. მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ კულტურული მრავალფეროვნების განცდა და მისი დაფასების უნარი.

ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას აქცენტის გაკეთება უნდა მოხდეს კულტურათა დიალოგის გააქტიურებაზე სხვადასხვა აქტივობების ფორმით. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატების ისტორიის სწავლებისას გაკვეთილზე კარგი იქნება, თუ მოხდება ცალკეული მოვლების, რიტუალების გათამაშება. ამ შემთხვევაში გააქტიურდება დიალოგი მოსწავლეებს შორის, „რას ვიცვამთ“, „რა რიტუალი ტარდება“. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობების შესრულება ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბებას.

ანუ სახეზეა „კულტურათა დიალოგის“ განხორციელება სხვადასხვა კულტურული და სოციოკულტურული მიმართულებებისა - ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები; ახალგაზრდების ცხოვრება - სწავლა, გატაცებები, თავისუფალი დრო; საზოგადოებრივი ცხოვრება; გამოჩენილი ადამიანები და მათი ნაწარმოებები; მწერლობა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, კინოხელოვნება, სამეცნიერო მიღწევების - ცნობილი გამომგონებლების თანამედროვე მიღწევების - გაერთიანებით.

საკომუნიკაციო კომპეტენციების დაუფლებაში ასევე დიდია ინტერკულტურული ხასიათის პროექტების განხორციელების წილი. მსგავს პროექტებში მონაწილეობა დადებითად მოქმედებს, როგორც სწავლის მოტივაციაზე, ისე მოსწავლის მიერ გუნდური მუშაობის პრინციპების უკეთ ათვისებასა და უცხოურ კულტურასთან, და ზოგადასაკაცობრიო ფასეულობებთან ზიარების პროცესზე.

*ცისანა გიგუაშვილი (თსუ, საქართველო)*

## **სწავლების TBL მეთოდი და მულტილინგვური გარემო**

უკანასკნელ წლებში მულტილინგვური განათლება საკმაოდ პოპულარული გახდა საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მულტილინგვური ჯგუფების გახსნა, რომლებიც შედგებიან ქართველი და აზერბაიჯანელი ან სომეხი, ან ორივე ეროვნების სტუდენტებისგან ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენი მოხსენების მიზანია ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, რადგან მულტილინგვურ კლასებში ინგლისური ენის სწავლების წინაშე დადგა პრობლემები სწავლების მეთოდებთან, სტრატეგიებთან, მიდგომებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობამ მასწავლებლები გარკვეული მოთხოვნების წინაშე დააყენა - მოძებნონ ახალი მიდგომები ან შეიმუშაონ უკვე არსებული კარგად ნაცადი მეთოდების ახალი ვერსიები მულტილინგვული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის სწავლებისას.

სტატიის მიზანია მულტილინგვურ კლასებში ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. მთავარი აქცენტი კი გამახვილებულია TBL (დავალეზაზე დაფუძნებული სწავლება) მეთოდის გამოყენებაზე ლექსიკის, კერძოდ ფრაზული ზმნების სწავლებისას და შედარებულია სხვა ტრადიციულ მიდგომებთან, კერძოდ, სწავლების - PPP (პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუქცია) მეთოდთან. TBL მეთოდის შესაძლებლობების გაანალიზებისას წარმოდგენილია როგორც უპირატესობები ასევე მოსალოდნელი პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები. შესასწავლი მასალის შემოტანის, ახსნის და შემდგომში სტუდენტების მიერ მისი გაგებისა და დაუფლების პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებების გათვალისწინებით კი გამოკვეთილია სწავლების TBL მეთოდის სასარგებლო მხარეები მულტილინგვურ ჯგუფებში გამოყენებისას.

ექსპერიმენტის შედეგებმა, რომელიც ჩატარდა მულტილინგვური სტუდენტების ჯგუფში, დონე B1, გვიჩვენა TBL მეთოდის უპირატესობა PPP -სთან შედარებით.

*მადონა გიორგაძე, თინათინ საბაური, მარიამ დალაქიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

**სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლების ინტეგრაციის პრობლემები და გამოწვევები [ილიას უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების და ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული სტუდენტების კვლევის მაგალითზე]**

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მზარდმა კონკურენტულმა გარემომ გარდაუვალი გახადა საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზება და მასში თანამდროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვა. ელექტრონული სწავლება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა და, შესაბამისად, დისტანციურმა სწავლებამ სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილის საჯარო სივრციდან ინდივიდუალურ სივრცეში გადატანა უზრუნველყო.

ილიას უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ და ელექტრონული პლატფორმა „მუდლის“ გამოყენებით მიმდინარეობს. თითოეული მათგანი მრავალფეროვან სერვისს სთავაზობს სასწავლო პროცესში ჩართულ მხარეებს, მათ შორის: ინდივიდუალური გამოხმაურების საშუალებას, საკუთარი სასწავლო საჭიროებების მონიტორინგს, ელექტრონული სწავლების გზით ვირტუალური ჯგუფების დაკომპლექტებას, დავალებების დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში გაგზავნასა და შეფასებას, განმავითარებელი კომენტარების დაწერას, ჯგუფების მართვას ერთიანი ცენტრალური ბაზის მეშვეობით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მიმდინარე სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ამ სერვისების მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის მიუხედავად, არაქართულენოვანი სტუდენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ადაპტაციას ელექტრონულ პორტალთან.

**მოხსენების მიზანია** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული სტუდენტების გამოცდილების შესწავლა ელექტრონულ სისტემებთან და დისტანციურ სწავლებასთან მიმართებით და იმ პრობლემების წარმოჩენა, რაც ხელს უშლის მათ სწავლების პროცესში ელექტრონული სერვისებით სარგებლობაში.

**ნაშრომის სიახლე:** ნაშრომის სიახლე მდგომარეობს საკვლევ საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების სისტემები ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიურადაა ინტეგრირებული სასწავლო პროცესში, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტების მიერ ამ რესურსების გამოყენების მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება ქართულენოვანი სტუდენტების მიერ ამავე რესურსების გამოყენების მაჩვენებლისაგან. კვლევის ფარგლებში ილიას უნივერსიტეტში პირველად ჩატარდება ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული სტუდენტების მიერ სწავლების ელექტრონული პორტალის გამოყენებისა და ეფექტურობის კვლევა ამ პროგრამის მონაწილეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით.

### **სამიზნე ჯგუფი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაში ჩართული სტუდენტები.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა თვისებრივი მიდგომა. კვლევა განხორციელდა ფენომენოლოგიური დიზაინით. სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიღების რელევანტურ მეთოდად შეირჩა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. თითოეული ჯგუფისათვის სტუდენტები შევარჩიეთ ენის სწავლების დონეების შესაბამისად. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ სტუდენტებმა, რომელთაც ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ ვერ გადალახეს მინიმალური ზღვარი და ხელახლა გადაიან კურსს.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ელექტრონული სწავლების კუთხით:

- აუცილებელია ვიდეო ტუტორიალების შექმნა, რომლებიც, მოქნილი ფორმატიდან გამომდინარე, სასურველ დროს და ადგილას, დიდ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ სტუდენტებს;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, სასურველია დამატებითი ტრენინგების შეთავაზება;
- ლექტორების მხრიდან აუცილებელია დავალებების ინსტრუქციის ნათლად ჩამოყალიბება ენის ფლობის დონის გათვალისწინებით და სტუდენტების თითოეულ წერილსა და დავალებაზე ფრთხილი და წამახალისებელი უკუკავშირი.

*მერი გიორგაძე (თსუ, საქართველო)*

## **იუმორი და სიტყვათა თამაში, როგორც პედაგოგიური ინსტრუმენტი**

კვლევის მიზანია იუმორის ადგილისა და როლის განსაზღვრა ინგლისური ენის სწავლებისას, ასევე, სიტყვათა თამაშის, როგორც პედაგოგიური ინსტრუმენტის, გამოყენების დანერგვა.

იუმორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ენის შესწავლისას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით უნდა განიხილებოდეს.

უპირველესად, იუმორი შესაძლოა მივიჩნიოთ ძლიერ ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელსა და სტუდენტს შორის ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ქმნის შინაურულ, მყუდრო გარემოს.

უცხოური ენის სწავლა/ სწავლების პროცესში იუმორის გამოყენების მეორე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ენის ათვისების სხვა სფერო. კერძოდ, იუმორი არ არის მხოლოდ ფსიქოლოგიური კატეგორია, იგი შეიძლება განვიხილოთ ლინგვო-კოგნიტური მიმართულებითაც.

ლინგვისტური თვალსაზრისით, სიტყვათა თამაშის მექანიზმი საკმაოდ რთულია. რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება პედაგოგებმა იუმორისა და სიტყვათა თამაშის კვლევისას ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების პროცესში?

როგორც ლევიჰალმე (1997:12) აღნიშნავს, სიტყვათა თამაში შესაძლოა განხორციელდეს ენის სხვადასხვა სისტემის მახასიათებლის საფუძველზე. მაგალითად ორთოგრაფიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ფონეტიკისა და სხვ.

ფორმალურად სიტყვათა თამაში შეიძლება გამოიხატოს ვერბალურ, ორაზროვან გონებამახვილობასა და ორთოგრაფიულ თავისებურებებში, სიტყვის ჟღერადობასა და ფორმაში, გრამატიკული წესების დარღვევასა და ასევე სხვა ლინგვისტური პარამეტრის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ სიტყვათა თამაშისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია კონტექსტი, რადგან სწორედ კონტექსტში მიიღწევა კონკრეტული პრაგმატიკული დატვირთვა, იუმორისტული, სატირული და/ან სხვა ეფექტი.

სიტყვებითა და სტრუქტურებით „თამაშისას“, ვმანიპულირებთ ენის სხვადასხვა დონეზე. ამგვარი "მანიპულაციების" გასაგებად და მისახვედრად საჭიროა, როგორც ენის მაღალ დონეზე ფლობა, ასევე ზოგადი/ფონური ცოდნა. ინგლისური ენის სწავლებისას აღნიშნული

ტიპის მოვლენების ანალიზი სტუდენტებისთვის ნამდვილად ეფექტური მიდგომა და გამოწვევაა. გარდა ამისა, სიტყვათა თამაშისა და იუმორის გამოყენება საშუალებას გვამძლევს შევისწავლოთ ენის თითქმის ყველა ასპექტი და მასთან დაკავშირებული უნარები, სიტყვათა თამაშის სხვადასხვა სახეობის აქტივობის გამოყენებით.

სწორედ ამიტომ, იუმორი და სიტყვათა თამაში პედაგოგიკაში შესაძლოა ჩაითვალოს ყველაზე ეფექტურ და ნაყოფიერ ინსტრუმენტად.

*ქეთევან გოჩიტაშვილი, (თსუ, გეომედი, საქართველო); გიული შაბაშვილი (თსუ, საქართველო)*

### **„ცრუ მეგობრების“ პრობლემა უცხო ენის სწავლების პროცესში (ქართული და ინგლისურის მაგალითზე)**

როგორც ცნობილია, „ცრუ მეგობრებად“ მიიჩნევა ის სიტყვები, რომლებიც ფორმოზრივად ან ფონეტიკურად შემსწავლელის მშობლიურ და სამიზნე ენაში ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა განსხვავებულ (ან ნაწილობრივ განსხვავებულ) მნიშვნელობებს ატარებს. საზოგადოდ, ცრუ მეგობრების ფენომენი შეისწავლება როგორც თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის, ისე ენის სწავლებისა და ლექსიკოგრაფიის ან კონტრასტული ლინგვისტიკის კონტექსტში.

ლექსიკის სწავლება უცხო ენის სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. უცხო ენის ლექსიკის სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლებისა და შემსწავლელების წინაშე მრავალი დაბრკოლება დგას, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სწორედ ე. წ. ცრუ მეგობრების საკითხი. ლექსიკურ ერთეულთა არასწორ გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს შემსწავლელის დაბნეულობა, ტექსტის არასწორად გაგება და გააზრება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი ნაკლებად შესწავლილია და სათანადო ყურადღებას საჭიროებს.

მოხსენების მიზანია:

1. გამოავლინოს ამგვარი სიტყვები ქართული და ინგლისური ენების მონაცემთა საფუძველზე და შექმნას მაქსიმალურად სრულყოფილი ბაზა ამგვარი სიტყვებისა. ეს სიტყვები დაჯგუფებულია შესაბამის ჯგუფებად (სრული განსხვავება, ნაწილობრივი განსხვავება, მეტყველების ნაწილები და ა. შ.) და წარმოდგენილია მათი სათანადო მაგალითების ანალიზით.



ქართულ და ინგლისურ ენაში ამგვარი ლექსიკური ერთეულია, მაგალითად: **ინტელიგენტი** - **intelligent**. ქართულ ენაში ეს სიტყვა კულტურულ, დახვეწილ ადამიანს ნიშნავს, ხოლო ინგლისურად ის ჭკვიანს გადმოსცემს.

**ორიგინალური** (თავისებური, განსაკუთრებული) - **original** (present or existing from the beginning; first or earliest. created personally by a particular artist, writer, musician, etc.; not a copy).

**ბრილიანტი** (მვირფასი ქვა, \_ მრავალწახნაგად თლილი ალმასი (იხმარება სამკაულად) - **brilliant** (exceptionally clever or talented. very bright.).

2. მოხსენების მიზანია, აგრეთვე, წარმოადგინოს აქტივობები, რომლებიც დაეხმარება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ამ სირთულეთა დაძლევაში. პირველ რიგში, ეს არის მრავალფეროვანი ლექსიკური სავარჯიშოები, რომელთა ნიმუშებიც წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში. 2. ენობრივი თამაშები. 3. თარგმანი. 4. ვიზუალიზაცია. 5. კონტექსტუალური და სიტუაციური აქტივობები (ვიდეო და აუდიო მასალის გამოყენებით). 6. კორპუსული მეთოდი (ორივე ენის მონაცემთა მიხედვით). 6. ცხრილები და ინფოგრამები.

საპილოტე გაკვეთილი ჩაუტარდა 5 უცხოელ სტუდენტს, რამაც მოგვცა საშუალება, გამოგვევლინა გამოყენებული აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები.

მოხსენებას პრაქტიკული ღირებულება აქვს და მიღებული შედეგები გამოადგება როგორც მეორე ენის შემსწავლელებსა და მასწავლებლებს, ისე მთარგმნელებს პროფესიულ საქმიანობაში.

*მაია დამენია, თამარ გეთიაშვილი, ნატო ბილანიშვილი, თეონა დამენია, ნინო დონაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)*

### **ომონიმების სწავლება არაქართველთათვის ენის კორპუსის დახმარებით**

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ენის სწავლება რთული და შრომატევადი საქმეა. ამ მიმართულებით კვლევის ინტერესის საგანი გახდა ომონიმების სწავლება ენის კორპუსის დახმარებით. განვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

1. ომონიმები ქართულ ენაში;

2. ფუნქციური ანალიზი და მისი როლი ომონიმების ანალიზში;
3. ენის კორპუსის შესაძლებლობები ომონიმებთან მიმართებაში;
4. ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი და მისი პრაქტიკული გამოყენება ენის სწავლებისას.

### **ომონიმები ენაში**

ომონიმები საკმაოდ მრავლად გვხვდება ქართულ ენაში. შესაძლოა, გამოვყოთ ორი ტიპის ომონიმები: 1. ერთი მეტყველების ნაწილები: ლომი (ცხოველთა მეფე) და ლომი (შრომის იარაღი), 2. სხვადასხვა მეტყველების ნაწილები: გარეშე (ზედსართავი სახელი) და გარეშე (თანდებული).

თითოეული ჯგუფის ანალიზისას გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით: პირველ შემთხვევაში ორივე მეტყველების ნაწილი კი არის არსებითი სახელი, მაგრამ ერთი სულიერთა ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო მეორე - უსულოთას, შესაბამისად სხვადასხვანაირ ყალიბს დაემორჩილებიან გრამატიკული თვალსაზრისით.

მეორე შემთხვევაში ერთი მათგანი ფორმაცვალებადი, სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილია (ზედსართავი სახელი), მეორე კი - ფორმაუცვლელი, დამხმარე (თანდებული). შესაბამისად, მათაც განსხვავებული გრამატიკული ყალიბები სჭირდებათ გასაანალიზებლად.

### **ფუნქციური ანალიზი და მისი როლი ომონიმების ანალიზში**

როდესაც ომონიმების მიწოდება ხდება არაქართულენოვანი სტუდენტისათვის ტრადიციული, ფორმალური გრამატიკის წესების მიხედვით, ენის შემსწავლელისათვის პასუხგაუცემელი რჩება მთავარი შეკითხვა: როგორ შევარჩიოთ სწორი გრამატიკული ყალიბი მოცემული ლექსიკური ერთეულისათვის, თუკი იგი შესაძლოა, ორი ფორმით ერთნაირი სიტყვა სხვადასხვა გრამატიკულ ჯგუფში ერთიანდებოდეს?

დესკრიფციული გრამატიკის მიხედვით, ლექსიკურ ერთეულს განვიხილავთ არა ცალკე აღებულს, არამედ მთლიან კონტექსტში, რაც მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს, გავიაზროთ და შემდგომ სწორად გადავანაწილოთ იგი შესაბამის გრამატიკულ ყალიბში.

ფუნქციური ანალიზისას, პირველ რიგში, ვიკვლევთ ლექსიკურ ერთეულს კონტექსტიდან გამომდინარე და ვადგენთ მის ფუნქციას, სემანტიკურ როლს წინადადებაში. შემდეგ შევარჩევთ შესაფერის გრამატიკულ ყალიბს. ეს ყველაზე სრულყოფილ სურათს გვაძლევს ნებისმიერი ლექსიკური ერთეულის, მათ შორის ომონიმების ანალიზისას.

## **ენის კორპუსის შესაძლებლობები ომონიმებთან მიმართებაში**

ომონიმია კორპუსის ანალიზატორის შექმნისას ერთ-ერთია ყველაზე რთულად გადასაჭრელ საკითხთა შორის. რადგანაც კორპუსში თავმოყრილია ცოცხალი ენის ერთეულები და შესაბამისად ფიქსირდება ერთი ლექსიკური ერთეულის გამოყენების უამრავი კომბინაცია. ძალზე რთულია, მიაწოდო ავტომატს ისეთი დონის ინფორმაცია, რაც მას საშუალებას მისცემს, სრულყოფილად გაანალიზოს და სწორად დაახარისხოს ფუნქციურად და სემანტიკურად განსხვავებული შემთხვევები. ამიტომ ომონიმის მოხსნა დღესაც გამოწვევად რჩება მრავალი ენის კორპუსის ანალიზატორებისთვის.

## **ქართული ენის ლინგვისტური კორპუსი და მისი პრაქტიკული გამოყენება ენის სწავლებისას**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში შექმნილი ქართული ენის კორპუსის გამოყენებით გამოვიკვლიეთ ომონიმის შემთხვევები ქართულში და მათი ფუნქციური და სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შევქმენით ის კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილად გადმოვცეთ ომონიმთა როგორც ფორმა და შინაარსი, ასევე მათი დანიშნულება და ადგილი კონკრეტულ წინადადებაში. მოგვცემს შესაძლებლობას, ენის შემსწავლელ სტუდენტს გავაცნოთ ერთი ლექსიკური ერთეულის უამრავ კონტექსტში გამოყენების მაგალითები, შედარებისა და ანალიზის საფუძველზე სტუდენტი აღმოჩენის მეთოდით თავად მოიძიებს იმ კონკრეტულ თავისებურებას, რომელიც ამა თუ იმ კონტექსტში შესაძლოა ახლდეს ამ ლექსიკურ ერთეულს.

სტუდენტს ასევე შესაძლებლობა აქვს, კორპუსის ფარგლებში დააკვირდეს ენის არა მხოლოდ სემანტიკურ თავისებურებებს, არამედ დაინახოს, თუ რამდენად მრავალფეროვანია ის გრამატიკული ფორმები, რომელსაც ეს ლექსიკური ერთეული იღებს ამა თუ იმ სიტყვებთან კომბინაციაში და აღმოაჩინოს წესები, საჭიროების შემთხვევაში, როგორ აწარმოოს სასურველი გრამატიკული ფორმა.

აღნიშნული კრიტერიუმები ჩვენ, როგორც ენის პედაგოგებს, დაგვეხმარება, სწორად მივაწოდოთ შესასწავლი ერთეულები ქართული ენის შესწავლის მსურველს. საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის მიწოდებულ მასალას, ხოლო სტუდენტს განუვითარებს ანალიზის, თანამედროვე ტექნოლოგიების უკეთ და უფრო სასარგებლოდ გამოყენების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ენის შესწავლისას.

*თვა დაშნიანი (ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი,  
საქართველო)*

## **სარეკლამო ტექსტების გამოყენება უცხო ენის მეცადინეობებზე**

მოხსენება ეძღვნება სარეკლამო ტექსტების გამოყენებას რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. მასში განხილულია სარეკლამო ტექსტების ძირითადი ნიშან-თვისებები. ასეთი ტექსტები სტუდენტების პროფესიული განათლების განუყოფელი ნაწილია. აუცილებელია, სტუდენტებს შევასწავლოთ სხვადასხვა კომუნიკაციურ საშუალებებთან მუშაობა, რათა მათ შეძლონ გაიგონ და გააანალიზონ ისინი. ამისათვის მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ არა მხოლოდ ლიტერატურული, ტექნიკური ან სამეცნიერო ტექსტები, არამედ საგაზეთო სტატიები და სარეკლამო ტექსტებიც.

ბოლო წლებში რეკლამის ენა იქცა მნიშვნელოვან დიდაქტიკურ საშუალებად, რომელსაც აქვს ფუნქციონალური ხასიათი; ეს კი განსაკუთრებით მისადაგება უცხო ენების მეცადინეობებს. სარეკლამო ტექსტების ანალიზი უყალიბებს სტუდენტებს გრძნობებისა და ფანტაზიის სამყაროს, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგს, დააინტერესოს მოსწავლე ამა თუ იმ თემით და დაავალოს მას თავისუფალი შინაარსის სარეკლამო ტექსტებისა და სლოგანების შედგენა. ამგვარად, მასწავლებელს შეუძლია აქტიურად და ეფექტურად იმუშაოს სასაუბრო ენაზე. ამ მეთოდს კი, კერძოდ, სარეკლამო ტექსტების გამოყენებას უცხო ენის სწავლების პროცესში, აქამდე ნაკლებად მიმართავდნენ; დღეს კი სარეკლამო ტექსტები უცხო ენის გაკვეთილებზე განიხილება, როგორც დიდაქტიკური მასალა.

სტუდენტები უცხო ენის შესწავლის პროცესში აწყდებიან რიგ დაბრკოლებას, რომლებიც უკავშირდება უცხოურ კულტურას. ამოცანა კი მდგომარეობს არა მხოლოდ უცხო ენის კოდექსის ათვისებაში, არამედ სხვა კულტურასთან და სხვა აზროვნების წესთან იდენტიფიკაციაში. ხშირ შემთხვევაში ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეს, გამოიყენოს „ახალი ენის კოდექსი“...

ვინაიდან რეკლამის ტექნიკა და სტრატეგიები თითქმის უნივერსალურია, სწორედ სარეკლამო ტექსტის თვისებები გვცხადებენ ამ დაბრკოლებების გადალახვაში. სარეკლამო განცხადებების უმრავლესობა არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას და არ ავლენს

ცალკეული ქვეყნების წეს-ჩვეულებებს. ისინი გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი ენის მატარებლისთვის.

სარეკლამო მასალის გამოყენებას სხვა უპირატესობაც მოეპოვება: სტუდენტებს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს სარეკლამო ტექსტებთან მუშაობა, რადგანაც ისინი ამჩნევენ, რომ მარტივი განცხადება შეიცავს გაცილებით მეტ ინფორმაციას, ვიდრე უბრალოდ რაიმე საქონლის გაყიდვა. სწორედ ეს ახდენს მათზე დიდ შთაბეჭდილებას იმიტომ, რომ განცხადებაში დაფარულია რიტორიკული გააზრება, სტილისტური დახვეწილობა, სოციალური და ემოციური შინაარსი. ენის ეს თვისებები უფრო მკაფიოდ ამოიცინობა სარეკლამო ტექსტებში, ვიდრე, მაგალითად, მხატვრულ ლიტერატურაში.

სარეკლამო განცხადებების კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს მათი გარეგნული იერსახე, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ტექსტის კონკრეტული აზრის გასაგებად არის აუცილებელი. რეკლამის ეს ნიშან-თვისება იწვევს სტუდენტებში მაღალ მოტივაციას და მზაობას, იყვნენ მეტად აქტიურნი. ამგვარად, სარეკლამო ტექსტი წარმოადგენს „ჰიპერტექსტს“. ის, როგორც ვიზუალური და ენობრივი სიგნალი, მართავს კომუნიკაციას და განაწყობს გარკვეული ფორმისა და შინაარსის აღქმისათვის. რეკლამის სპეციალისტი უნდა ადგენდეს ორიგინალურ განცხადებებს, იმისათვის, რომ მათში მოთავსებულმა ინფორმაციამ მიიზიდოს მომხმარებელი.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს აქვს, ერთი მხრივ, უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული ნებისმიერი ტექსტისათვის დამახასიათებელი თვისებები, მეორე მხრივ, აღნიშნული საშუალებების სპეციფიკური თავისებურებანი. სარეკლამო ტექსტებზე აგებული სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს საგანის - „უცხო ენის“ - სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნას.

*ირინე დემეტრაძე (თსუ, საქართველო)*

### **ლინგვისტური და საკომუნიკაციო კომპეტენცია: ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომები**

მოხსენების მიზანია, მიაწოდოს გარკვეული მინიშნებები ინგლისური ენის ქართველ მასწავლებლებს, რომლებიც ცდილობენ, განავითარონ მათი მოსწავლეების როგორც ენობრივი, ასევე საკომუნიკაციო

კომპეტენცია. ამდენად, მოხსენება შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მიმოიხილავს ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ, ლექსიკისა და გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მიზნით, მოხსენებაში განხილულია ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომები და გაანალიზებულია ის საკითხები, რომლებზეც მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება მშობლიური ენის ინტერფერენციის თავიდან აცილების მიზნით. მოხსენების თეორიულ საფუძველს შეადგენს რ. ლადოს, ჩ. ფრაიზის, კ. პრეიტორის და სხვა მკვლევართა ნაშრომები. შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით, გამოვლენილია მშობლიურ და სამიზნე ენებს (ჩვენს შემთხვევაში - ქართულსა და ინგლისურს) შორის არსებული სემანტიკური და სტრუქტურული განსხვავებები. ემპირიული მასალა მოპოვებული და განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად.

